საქმიანობის ბიულეტენი

მარტი
2024



საქმიანობის ბიულეტენი

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

შინაარსი:

NO.1

გვერდი 3

პლენარული სხდომები

გვერდი 6

ბიუროს სხდომები

გვერდი 9

კომიტეტის სხდომები

გვერდი 15

სხვა აქტივობები

გვერდი 25

საერთაშორისო ურთიერთობები

პლენარული სხდომა

მარტი, 2024

აჭარის სუვერენული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

აჭარის უმაღლეს საბჭოში საგაზაფხულო სესია გაიხსნა

5 მარტი, 2024 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში საგაზაფხულო სესია გაიხსნა. მორიგ პლენარულ სხდომაზე, საჯარო სამსახურის საბჭოს წევრად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე აირჩიეს.

სხდომაზე, შესაბამისი მოხსენებით, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძემ წარსდგა. მისი განცხადებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის საბჭოს მიზანი საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობაა. საბჭო 4 წლის ვადით არჩეული 11 წევრისგან შედგება, რომელთაგან ერთს - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო წარადგენს.

რეგლამენტის შესაბამისად, საბჭოს წევრობის კანდიდატად, ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე დაასახელა. ფრაქციის თავმჯდომარემ - გიორგი მანველიძემ, სხდომის თავმჯდომარეს, ფრაქციის სახელით მომზადებული შესაბამისი განაცხადი წერილობითაც წარუდგინა. კანონმდებლებმა დავით გაბაიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა.

უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე სოფლის მეურნეობის მინისტრს მოუსმინეს

21 მარტი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სოფლის მეურნეობის მინისტრს მოუსმინეს - ზაზა შავაძე სამინისტროს საქმიანობის შესახებ ვრცელი მოხსენებით წარსდგა.

მომხსენებელმა, გასული სამეურნეო წლის შეჯამების შემდეგ, მიმდინარე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ზაზა შავაძის განცხადებით, უწყების 2024 წლის ბიუჯეტი 32 მილიონს აჭარბებს, რომლის ფარგლებში, სამინისტრო 16 პროგრამასა და 12 ქვეპროგრამას ახორციელებს. პრიორიტეტები ორიენტირებულია თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, მემცენარეობის, მეცხოველეობის ჯიშთგანახლებაზე, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების, ხარისხის, კონკურენტუნარიანობის ზრდასა და სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებზე.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით განხორციელებული პროგრამების გარდა, მომხსენებელმა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების საქმიანობაზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებზე ისაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებს, ამ მხრივ მაღალმთიან აჭარაში არსებულ ვითარებას, გამოწვევებსა და მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკას. ვრცელი მოხსენების შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კითხვებს. წარმოდგენილი ანგარიში კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს.

სხდომაზე მოისმინეს და ცნობად მიიღეს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის საკითხთა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების 2023 წლის საქმიანობის ანგარიშები. მოხსენებები კომიტეტების თავმჯდომარეებმა - დავით ბაციკაძემ და ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე გაკეთდა პოლიტიკური განცხადებები. კანონმდებლებმა პროფესიული დღე მიულოცეს ჟურნალისტებს, მესაზღვრეებს, მეტყევეებს და სოლიდარობა გამოხატეს დაუნის სინდრომის მქონეთა მიმართ. სხდომას ესწრებოდნენ სტუდენტები, რომელთაც დასწრება ვებპლატფორმა - chaerte.sca.ge-ს მეშვეობით დაჯავშნეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვამდე პოლიტიკური განცხადებები გაკეთდა.

ბიუროს სხდომა

მარტი, 2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ბიუროს სხდომაზე 10 საკითხი განიხილეს

20 მარტი, 2024 წელი

ხვალ, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრს - ზაზა შავაძეს მოუსმენენ. სხდომის დღის წესრიგი ბიუროს სხდომაზე განსაზღვრეს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი, უმაღლესი საბჭოს წევრმა - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა - უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილების პროექტი, ბიუროს გადაწყვეტილებით, განსახილველად კომიტეტებში ჩაეშვა. კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს კიდევ ერთ საკითხს, რომელიც „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ (II მოსმენა) კანონის პროექტისთვის ვადის გაგრძელებას ითვალისწინებს.

ინფორმაცია ,,ტურიზმის ორგანიზების შესახებ“ აჭარის კანონის აღსრულების მდგომარეობის თაობაზე, ბიუროს წევრებს, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ გააცნო. მისი განცხადებით, სათანადო აქტივობების, კვლევების საფუძველზე მომზადებული დასკვნის თანახმად, აუცილებელია, გაგრძელდეს მუშაობა ახალ კანონპროექტზე, რასაც ბიურომ მხარი დაუჭირა.

სხდომაზე ცნობად მიიღეს აჭარის ზოგადსაგანმანათლებო საჯარო სკოლების მოსწავლეთა მასობრივ სპორტში ჩართულობის შესახებ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის თაობაზე, თემატური მოკვლევის საფუძველზე მომზადებული დასკვნა, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ბაციკაძემ წარმოადგინა.

ბიუროს გადაწყვეტილებით, ,,ქალაქის ეკოლოგიური და სატრანსპორტო პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ ბათუმში ყოველი თვის ბოლო შაბათი გამოცხადდეს ველო დღედ“ - შემოსული პეტიცია (ავტორები: ალექსანდრე აბუსელიძე, ციური ვადაჭკორია) ქალაქ ბათუმის მერიას გადაეგზავნება.

კანონმდებლებმა მომზადებულად მიიჩნიეს უმაღლესი საბჭოს კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელთა განხილვა პლენარულ სხდომებზე გაგრძელდება. სხდომაზე დამტკიცდა დარგობრივი კომიტეტების 2024 წლის სამოქმედო გეგმები. რაც შეეხება უმაღლესი საბჭოს წევრების გასული წლის საქმიანობის ანგარიშებს, ბიუროს გადაწყვეტილებით, ყველა მათგანი საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე განთავსდება.

ბიურომ, ამავე სხდომაზე განსაზღვრა პლენარული სხდომის დებატების პროცედურა და 21 მარტის მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომლის თანახმად, „მინისტრის საათის“ შემდგომ, კანონმდებლები ორი - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების ანგარიშებს მოისმენენ.

ბიუროს სხდომა

21 მარტი, 2024 წელი



ბიუროს სხდომაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილება განიხილეს.

მომხსენებლის, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - ვლადიმერ მგალობლიშვილის განცხადებით, ცვლილება უმაღლესი საბჭოს წევრის, გიორგი კირთაძის მიერ, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დატოვებას უკავშირდება. შესაბამისი განცხადება კომიტეტში 2024 წლის 21 მარტს შევიდა.

ამიერიდან, გიორგი კირთაძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტში დამოუკიდებელი წევრის სტატუსით გააგრძელებს მუშაობას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კვოტას კი, გია აბულაძე შეავსებს.

კომიტეტის სხდომა

მარტი, 2024

აჭარის სუვერენული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

12 მარტი, 2024 წელი



უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა და 2023 წლის საქმიანობის ანგარიში განიხილეს ამავე კომიტეტის სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ორივე საკითხი, კანონმდებლებს, კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ წარუდგინა.

კომიტეტის წევრებმა, ორივე საკითხთან დაკავშირებით, რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას დაუჭირეს მხარი.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

15 მარტი, 2024 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 2 საკითხი განიხილეს.

კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა და 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

კანონმდებლებმა აღნიშნულ საკითხებზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას მხარი დაუჭირეს.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

15 მარტი, 2024 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, ამავე კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს.

სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები კანონმდებლებს კომიტეტის თავმჯდომარემ - ვლადიმერ მგალობლიშვილმა წარუდგინა.

კომიტეტის სამოქმედო გეგმა ბიუროს წარედგინება.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

19 მარტი, 2024 წელი

2024 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე. საკითხი, კანონმდებლებს, ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ - ცოტნე ანანიძემ გააცნო.

სამოქმედო გეგმა, სხდომაზე გამოთქმული ორი კომპონენტის გათვალისწინებით დამტკიცდა.
კენჭისყრის შემდეგ, მომხსენებელმა კომიტეტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.

კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

სხდომაზე ასევე განიხილეს სხვადასხვა საკითხი. სხდომაზე იმყოფებოდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც დასწრება ვებპლატფორმა - chaerte.sca.ge-ს მეშვეობით დაჯავშნეს.

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

20 მარტი, 2024 წელი

2024 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე. მიმდინარე წლის მიზნები, ამოცანები და აქტივობები, კანონმდებლებს, კომიტეტის თავმჯდომარემ - ფრიდონ ფუტკარაძემ წარუდგინა.

სამოქმედო გეგმა, სხდომაზე გამოთქმული წინადადების გათვალისწინებით, დაამტკიცდა.

რაც შეეხება კომიტეტის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს, კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს საკითხზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას. მოხსენებით სხდომაზე ფრიდონ ფუტკარაძე წარსდგა.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

მარტი, 2024

აჭარის სუპრემალური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ფრიდონ ფუტკარაძე საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო

1 მარტი, 2024 წელი

უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებს დაესწრო.

2024 წლის პროგრამების პრეზენტაციითა და სიახლეების შესახებ ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის მინისტრი - ზაზა შავაძე, ორივე მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების წინაშე წარსდგა. მისი განცხადებით, უწყების 2024 წლის ბიუჯეტი, შარშანდელთან შედარებით, 4 მილიონამდე ლარით გაიზარდა და 32 მილიონს გადააჭარბა, რაც 16 პროგრამისა და 12 ქვეპროგრამის განხორციელებას ითვალისწინებს.

„სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სხვა არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებასთან ერთად, წელსაც აგრძელებს სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავების პროგრამას. 2170 ჰექტარი ფართობი, აგროვადების სრული დაცვით დამუშავდება,“- განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა ფრიდონ ფუტკარაძემ.

მსგავსი შეხვედრები, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, აგროსერვის ცენტრისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქობულეთში, შუახევსა და ხულოში გაიმართება.

კახაბერსა და მახინჯაურში წყალმომარაგების ახალი ქსელის მშენებლობა დაიწყო

4 მარტი, 2024 წელი

„ახალი ქსელი, უზრუნველყოფს მოსახლეობის უწყვეტ წყალმომარაგებას და მასში ასეულობით ოჯახი ჩაერთვება," - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა - ტიტე აროშიძემ კახაბრის დასახლებაში, წყალმომარაგების ახალი ქსელის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით.

დასახლებაში, წლების განმავლობაში არ არსებობდა წყალმომარაგების ქსელი. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, უწყვეტი წყალმომარაგებით, 500-მდე ოჯახი ისარგებლებს. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მომდევნო წელს დასრულდება.

ამავე პროექტის ფარგლებში,

წყალმომარაგების რეზერვუარისა და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა დაიწყო ზედა მახინჯაურშიც. ახალი ქსელი 150 ოჯახს უზრუნველყოფს წყლით.

მიმდინარე სამუშაოები, ტიტე აროშიძესთან ერთად, ქალაქ ბათუმის მერმა - არჩილ ჩიქოვანმა, პარლამენტარმა - რესან კონცელიძემ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

ტიტე აროშიძე ცოტნე დადიანის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებს გაეცნო

12 მარტი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი - ტიტე აროშიძე, ცოტნე დადიანის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემისა და ტროტუარის მოწყობა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია განათების სისტემის რეაბილიტაცია და ასფალტის საფარის დაგება. სამუშაოები მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და ნოემბერში დასრულდება.

უმაღლესი საბჭოს წევრმა, დადიანის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქალაქ ბათუმის მერ - არჩილ ჩიქოვანთან, პარლამენტარ - რესან კონცელიძესთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

აჭარის წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო

15 მარტი, 2024 წელი

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე, ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარის უმაღლეს საბჭოში - ცოტნე ანანიძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქობულეთში, სოფელ ოჩხამურში, დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის სამშენებლო სამუშაოების დაწყების ცერემონიაში მონაწილეობდნენ.

ისტორიული პროექტის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა აჭარის 39 სოფელსა და დაბებში მოეწყობა. სამუშაოები ყველა მუნიციპალიტეტში ერთდროულად დაიწყება.

ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ცოტნე ანანიძის განცხადებით, სამუშაოების დასრულების შემდეგ, ოჩხამურის, ცეცხლაურის, ჯიხანჯურის, ქვედა კვირიკეს, მუხაესტატეს მეურნეობის დასახლებისა და ჩაქვისთავის მოსახლეობა 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს. აშენდება წყლის 6 რეზერვუარი, 4 სათავე ნაგებობა, ჩამდინარე წყლების გამწმენდი 5 ნაგებობა და წყალარინების სეპტიკური ავზები.

პროექტის პირველივე ეტაპზე, 2024 წელს, 24-საათიანი წყალმომარაგებით ასევე ისარგებლებენ: ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებები - მილისი, უჩხითი და ქოსოფელი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - კირნათი და კობალეთი. პროექტი, ჯამში, აჭარაში მცხოვრებ 6000-მდე ოჯახს მოიცავს.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის, აჭარის მთავრობის, საქართველოში გერმანიის საელჩოს, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის KfW, „აჭარის წყლის ალიანსის“ წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

18 მარტი, 2024 წელი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მოსახლეობას საშუალებას აძლევს თავად აირჩიოს მისი სოფლისთვის პრიორიტეტული, მნიშვნელოვანი პროექტი. ხალხი თავად წყვეტს რა გააკეთოს უპირველესად, სახელმწიფო კი ამ გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს“, - აღნიშნა მაღალმთიანი აჭარის მაჟორიტარმა დეპუტატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრიდონ ფუტკარაძემ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე.

მისი განცხადებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დაგეგმილია მუნიციპალიტეტის 64-ვე სოფელში.

აღნიშნულ ფორმატში, ღონისძიებები 12 მარტს დაიწყო და ხვალ, მაჭახელას ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში დასრულდება. წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი 968 000 ლარია.

ბათუმში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე კონფერენცია გაიმართა

19 მარტი, 2024 წელი

„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქვეყნის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ მიზნით, ბოლო წლებში, საქართველოში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, 2023 წელს კი, პარლამენტმა, მიიღო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია," - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ტიტე არაშიძემ, ბათუმში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისადმი მიძღვნილი კონფერენციის გახსნისას.

კონფერენცია -„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება: ფინანსურ რესურსებზე წვდომა და ეკონომიკური უფლებები, როგორც ცვლილებების კატალიზატორი" ორ პანელურ სესიად წარიმართა და აჭარაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, მათი ეკონომიკური უფლებების დაცვის საკითხებს, სასამართლო პრაქტიკასა და ძირითად გამოწვევებს დაეთმო.

„ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები და გამოწვევები აჭარაში" პანელური დისკუსიის მოდერატორმა, უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ და უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ფატი ხალვაშმა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკასა და ამ მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე გაამახვილეს ყურადღება.

ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში აჭარის უმაღლესი საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, სამოქალაქო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეწარმე ქალები მონაწილეობდნენ.

ბათუმში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე კონფერენცია გაიმართა

19 მარტი, 2024 წელი

„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქვეყნის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ მიზნით, ბოლო წლებში, საქართველოში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, 2023 წელს კი, პარლამენტმა, მიიღო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია," - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ტიტე არუშიძემ, ბათუმში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისადმი მიძღვნილი კონფერენციის გახსნისას.

კონფერენცია -„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება: ფინანსურ რესურსებზე წვდომა და ეკონომიკური უფლებები, როგორც ცვლილებების კატალიზატორი" ორ პანელურ სესიად წარიმართა და აჭარაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, მათი ეკონომიკური უფლებების დაცვის საკითხებს, სასამართლო პრაქტიკასა და ძირითად გამოწვევებს დაეთმო.

„ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები და გამოწვევები აჭარაში" პანელური დისკუსიის მოდერატორმა, უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ და უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ფატი ხალვაშმა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკასა და ამ მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე გაამახვილეს ყურადღება.

ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში აჭარის უმაღლესი საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, სამოქალაქო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეწარმე ქალები მონაწილეობდნენ.

ბათუმში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე კონფერენცია გაიმართა

19 მარტი, 2024 წელი

„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ქვეყნის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ მიზნით, ბოლო წლებში, საქართველოში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, 2023 წელს კი, პარლამენტმა, მიიღო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია," - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ტიტე არაშიძემ, ბათუმში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისადმი მიძღვნილი კონფერენციის გახსნისას.

კონფერენცია -„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება: ფინანსურ რესურსებზე წვდომა და ეკონომიკური უფლებები, როგორც ცვლილებების კატალიზატორი" ორ პანელურ სესიად წარიმართა და აჭარაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, მათი ეკონომიკური უფლებების დაცვის საკითხებს, სასამართლო პრაქტიკასა და ძირითად გამოწვევებს დაეთმო.

„ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები და გამოწვევები აჭარაში" პანელური დისკუსიის მოდერატორმა, უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ და უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ფატი ხალვაშმა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო პოლიტიკასა და ამ მიზნით განხორციელებულ აქტივობებზე გაამახვილეს ყურადღება.

ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში აჭარის უმაღლესი საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასამართლო ხელისუფლების, პროკურატურის, სამოქალაქო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეწარმე ქალები მონაწილეობდნენ.

ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის სხდომა

22 მარტი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის სხდომაზე, 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მიმოხილვა საკანონმდებლო ორგანოსა და ღია მმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით გაბაიძემ წარმოადგინა. სამოქმედო გეგმით გაწერილი ვალდებულებებისა და ცალკეული ეტაპების შესრულების შესახებ ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

ახალგაზრდული კონკურსების შესახებ საკითხი, რომელსაც სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულება - „ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში“ ითვალისწინებს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ბაციკაძემ წარმოადგინა. მისი განცხადებით, ინფორმაცია კონკურსების შესახებ უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება'' - თემატურ მოკვლევის შემაჯამებელი ანგარიშის ბიუროსთვის წარდგენასთან დაკავშირებით, მოხსენება დავით გაბაიძემ, თანამოხსენებები კი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ, საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა, საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა წევრმა - ირაკლი ჩავლეიშვილმა წარმოადგინეს.

სხდომაზე საქართველოს მთავრობის მიერ ღია მმართველობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებასა და ვალდებულებებზე ისაუბრა უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსმა - ზურაბ ჭურკვეიძემ.

განხილულ საკითხებზე მოსაზრებები გამოთქვეს დონორი ორგანიზაციისა და საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენლებმა სამოქალაქო სექტორიდან.

საერთაშორისო ურთიერთობები

მარტი, 2024

აჭარის სუპერნომიერი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

ირაკლი ჭეიშვილი ევროსაბჭოს კონგრესის 46-ე პლენარულ სესიას დაესწრო

29 მარტი, 2024 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი - ირაკლი ჭეიშვილი, ქართული დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, 26- 28 მარტს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 46-ე პლენარულ სესიაში მონაწილეობდა.

სესიის პირველ სამუშაო დღე, რომელიც კონგრესის პრეზიდენტმა - მარკ ქულსიმ და ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა, მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩმა გახსნეს, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის თაობაზე დებატებს დაეთმო, კენჭი ეყარა უკრაინელი ბავშვების უფლებების დაცვის შესახებ დეკლარაციის პროექტს.

კონგრესის 46-ე სესიაზე დებატები გაიმართა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე, მათ შორის, ბუნებრივ კატასტროფებსა და კლიმატურ რისკებზე, გაეროს მომავლის სამიტზე, ადამიანის უფლებების ჩარჩოკონვენციის პროექტზე, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობაზე.

კონგრესის მონაწილეებმა მოისმინეს იტალიის, ნორვეგიის, ანდორის, მონტენეგროს, საფრანგეთის, ხორვატიის ადგილობრივ თვითმმართველობებში ევროპული ქარტიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშები და კენჭი უყარეს მოლდოვაში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშს. კონგრესზე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, ლიხტენშტეინის თავმჯდომარეობის ფარგლებში, სიტყვით გამოვიდა, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, შინაგან საქმეთა, ეკონომიკისა და გარემოსდაცვის მინისტრი - საბინე მონაუნი. სესიის მსვლელობისას, მოისმინეს მოსაზრებები ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების როლზე ბელარუსული დემოკრატიული ძალებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის თვალსაზრისით.

კონგრესზე ქართული დელეგაცია აჭარის უმაღლესი საბჭოსა და თბილისის საკრებულოს წევრებით იყო წარმოდგენილი.

თვის სხვა აქტივობები:

- ქალთა საერთაშორისო დღე - 8 მარტი, 2024
- 103 წელი... ბათუმისათვის ბრძოლებიდან -23 მარტი, 2024
- საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეა - 26 მარტი, 2024
- ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძის 100 წლის საიუბილეო საღამო - 27 მარტი, 2024

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge